ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

პავლე აბაიაძე – კოლეგიის თამჯდომარე

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: რ. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.12.2013

საჩივრის რეგისტრაციის N163/13

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ო. მ.–ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ო. მ.–ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 20 დეკემბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა რ. ა.–მა და მოითხოვა ადვოკატ ო. მ.–ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, სამი წლის წინ გადაწყვიტა ბებიის მიერ დატოვებული მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობის მესაკუთრედ დარეგისტრირება, თუმცა საბუთებში არსებულმა ხარვეზმა ხელი შეუშალა აღნიშნულის განხორციელებაში.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას უნდოდა აეყვანა ადვოკატი ო. მ., რათა უზრუნველეყო საბუთებში არსებული ხარვეზის გამოსწორება. საადვოკატო მომსახურეობის საფასურად მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა 600 ლარი.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ვერ გადაიხადა საადვოკატო მომსახურეობის თანხა და ამიტომ მათ შორის არ გაფორმებულა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, ხოლო მიწის რეგისტრაციისათვის საჭირო საბუთები დარჩა ადვოკატს.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2012 წლის 22 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, მიწის ნაკვეთის კანონიერი მფლობელი ვალდებული იყო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა–ნაგებობითურთ დაერეგისტრირებინა შესაბამის ორგანოში.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ვერ უზრუნველყო მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის აუცილებელი ხარჯების გაწევა, ხოლო 2013 წლის 01 იანვარს ჩადენილი დანაშაულისთვის მსჯავრდების გამო დაზარალებულმა მხარემ ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ მოსთხოვა კუთვნილი მიწის ნაკვეთის გადაცემა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ო. მ.–ის მიერ საჩივრის ავტორის კუთვნილი მიწის რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის მითვისების გამო მიწის ნაკვეთის საფასური ლიბერთი ბანკში გადაიხადა ვინმე ვ. ა. და გაუფორმა მის სახელზე, შემდეგ მიწა დაყადაღდა.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, მნიშვნელოვანია ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ ყალბი საბუთების საფუძველზე მიწის ნაკვეთის დაყადაღებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გადახედვა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2013 წლის 30 დეკემბერს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას ახსნა–განმარტებით მომართა ადვოკატმა ო. მ.–მა, რომლის თანახმად, იგი წარმოადგენდა რ. ა.–ის სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებული მხარის – ვ. დ.–ის ინტერესებს რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

2.2 ადვოკატის განცხადებით, დაზარალებულმა მხარემ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პარალელურად, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში 2013 წლის 11 აპრილს შეიტანა სამოქალაქო სარჩელი საჩივრის ავტორისაგან მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. სარჩელის სასამართლოში შეტანამდე, დაზარალებულმა მხარემ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფა, რამაც განაპირობა საჩივრის ავტორის კუთვნილი ქონების დაყადაღება. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ვ. დ.–ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხე რ. ა.–ს მთლიანობაში, ვ. დ.–ის სასარგებლოდ დაეკისრა 21,741 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

2.3 ადვოკატის განცხადებით, სიმართლეს არ შეესაბამება საჩივრის ავტორის პოზიცია იმის შესახებ, თითქოს ადვოკატი დაინტერესებული იყო საჩივრის ავტორის კუთვნილი უძრავი ქონების მის სახელზე გადაფორმებით, ასევე იგი წინასწარ იყო ინფორმირებული მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და აქედან გამომდინარე, მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად მოახდინეს მისი კუთვნილი უძრავი ქონების დაყადაღება.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მას არ გააჩნდა იფორმაცია საჩივრის ავტორის საკუთრებაში არსებული უძრავ–მოძრავი ქონების შესახებ, ვინაიდან საჩივრის ავტორს არასოდეს მიუნდვია ადვოკატისათვის საკუთარი უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საქმე, შესაბამისად საჩივრის ავტორის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ინფორმაციის მოპოვების მიზნით ადვოკატმა მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია საჩივრის ავტორის საკუთრებაში ასრებული ქონების შესახებ, საიდანაც გაარკვია, რომ უძრავი ქონება რ. ა.–ის სახელზე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2012 წლის 22 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, თვით რ. ა.–ის პირადი განცხადების საფუძველზე, პროექტის ფარგლებში.

2.5 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის მიერ ეთიკის კომისიაში შემოტანილი საჩივრის მიზანს წარმოადგენს საჩივრის ავტორის დაყადაღებულ ქონებაზე ყადაღის მოხსნა, ვინაიდან არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რომლის შესაბამისად ადვოკატს უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატ ო. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ საერთო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 რ. ა.–მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2013 წლის 20 დეკემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2013 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე (2009 წლის რედაქცია) არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ო. მ.–ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების 30–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ო. მ.–ის მიმართ გამოიხატება იმაში, რომ რამდენიმე წლის წინ, საჩივრის ავტორმა მიმართა ადვოკატ ო. მ.–ს ბებიის მიწის ნაკვეთის გადმოფორმებისათვის იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე. მართალია, მხარეებს შორის ხელშეკრულება არ შედგა, მაგრამ საჩივრის ავტორის მტკიცებით ადვოკატთან დარჩა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი. საჩივრის ავტორის

მტკიცებით, სწორედ ამ დოკუმენტების გამოყენებით მოახდინა ადვოკატმა მის სახელზე მიწის ნაკვეთის გადმოფორმება, რათა სისხლის სამართლის საქმეზე მოეხდინა მისი, როგორც ბრალდებულის ქონების დაყადაღება და ამით დაზარალებულისათვის, რომლის წარმომადგენელიც ადვოკატი ო. მ. იყო, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უზრუნველყოფა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ო. მ.–ის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე–15 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წამომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას.“

5.3 საპროცესო კოლეგია მიუთითებს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.“

5.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ,,ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს მასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.“ როგორც საჩივრის ავტორი განმარტავს, მან სამი წლის წინ მიმართა ადვოკატ ო. მ.–ს ბებიის მიწის ნაკვეთის გადმოფორმებისათვის იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, მაგრამ მხარეებს შორის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება არ გაფორმებულა, რადგან საჩივრის ავტორმა იურიდიული მომსახურებისათვის თანხა ვერ გადაიხადა. ამდენად, არ შედგა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. თავად საჩივრის ავტორიც არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ადვოკატ ო. მ.–ს, უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, არ განუხორციელებია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიუთითებს, რომ ადგილი არ ჰქონია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის წინაპირობებს.

5.5 საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატთან დარჩა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, რადგან საჩივრის ავტორმა ვერ მიუთითა ვერც ერთ საფუძველზე ან მტკიცებულებაზე, რომელიც საპროცესო კოლეგიას დაარწმუნებდა ადვოკატის მხრიდან დოკუმენტების დატოვების მოტივაციაში, მაშინ როცა მხარეებს შორის არ მომხდარა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. ამდენად, საპროცესო კოლეგიას მიაჩანია, რომ ადვოკატს არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე–15 მუხლით განსაზღვრული ვალდებულება.

5.6 საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატ ო. მ.–მა მას საკუთრებაში გადაუფორმა ბებიის მიწის ნაკვეთი და მერე მოახდინა ამ მიწის ნაკვეთის დაყადაღება, რადგან ადვოკატის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებაზე, კერძოდ, 2013 წლის 21 მარტის საჯარო რეესტრიდან ამონაწერზე და 2012 წლის 22 სექტემბრის რეგისტრაციის შესახებ N გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით დგინდება,

რომ 2012 წლის 22 სექტემბერს რ. ა., მარნეულში, საკრებულო ალგეთის სასოფლო სამეურნეო ნაკვეთის, 2803 კვ.მ დაზუსტებული ფართობის მესაკუთრე გახდა პირადი განცხადებისა და საკომლო წიგნში არსებული ჩანაწერის საფუძველზე, რაც გამორიცხავს ადვოკატ ო. მ.–ის ან სხვა მესამე პირის მონაწილეობით (განცხადებით) საჩივრის ავტორის საკუთრებაში მიწის ნაკვეთის რეგისტრაციას.

5.7 საპროცესო კოლეგია ადვოკატ ო. მ.–ის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ადგენს, რომ 2013 წლის 21 თებერვლის N07 ორდერის საფუძველზე ადვოკატი ო. მ. ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოში, საჩივრის ავტორის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე ახორციელებდა დაზარალებულად ცნობილი ვ. დ.–ის დაცვას. აღნიშნულ საქმეზე საჩივრის ავტორი ცნობილ იქნა დამნაშავედ (21.02.13 წლის N07 ორდერი, 14.03.13 და 12.06.13 განჩინებები).

5.8 საპროცესო კოლეგია მიუთითებს, რომ 2013 წლის 01 აპრილს დაზარალებულმა ვ. დ.–მა დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სამოქალაქო სარჩელის აღძვრამდე, სასამართლოს განცხადებით მიმართა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, საჩივრის ავტორის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის და ორი ერთეული სატრანსპორტო საშუალების დაყადაღების თაობაზე. საპროცესო კოლეგია მიუთითებს ,,საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლზე, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების და მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული დოკუმენტაციის საჯაროობასა და ნებისმიერი პირისათვის ხელმისაწვდომობაზე და არ იზიარებს საჩივრის ავტორის მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა ო. მ.–მა თითქოსდა გამოიყენა მის ხელთ არსებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია და სასამართლოს მეშვეობით ყადაღა დაადო მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რადგან ამ მომენტისათვის მიწის ნაკვეთი მისივე განცხადების საფუძველზე უკვე დარეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში, როგორც საჩივრის ავტორის საკუთრება.

5.9 ამრიგად, საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორმა 2012 წლის 22 სექტემბერს პირადი განცხადების საფუძვეზე საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება.ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ მარნეულში, საკრებულო ალგეთის სასოფლო სამეურნეო ნაკვეთის, დაზუსტებული ფართობით 2803 კვ.მ დაყადაღება კი განხორციელდა წარდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერზე დაყრდნობით (02.04.13, საქმე N), სადაც 2012 წლის 22 სექტემბრიდან ზ/აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ მითითებულია საჩივრის ავტორი.

5.10 საპროცესო კოლეგია მიუთითებს, რომ ადვოკატი ო. მ. 2013 წლის 21 თებერვლიდან წარმოადგენდა რ. ა.–ის სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებული მხარის – ვ. დ.–ის ინტერესებს რუსთავის საქალაქო სასამართლოში. ამ მომენტისათვის მარნეულში, საკრებულო ალგეთის სასოფლო სამეურნეო ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობით 2803 კვ.მ, რ. ა.–ის განცხადების საფუძველზე, როგორც ავღნიშნეთ უკვე წარმოადგენდა მის საკუთრებას.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე" პუნქტით, ამავე კანონის 33-ე მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილით,; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5, მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე მუხლით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №163/13 ადვოკატ ო. მ.–ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /გია ტაბლიაშვილი/